

ჩვენი გიმნაზია

სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის და წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ყოველთვიური გაზეთი №6 ივნისი 2016 წ.

გაზეთი გამოდის გიმნაზიის დირექტორის სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოს იმგუდიელის ლოცვა-კურთხევით.

19 ივნისი — სულიწმიდის გარდამოსვლა (სულმოფენობა)

როგორც დაარიგა უფალმა, მოციქულებმა არ დატოვეს იერუსალიმი და გაძლიერებული ლოცვითა და მარხვით ემზადებოდნენ სულიწმიდის მისაღებად. ამაღლებიდან მეათე დღეს ძლიერი გრიგალის ხმამ აავსო სახლი, სადაც მოციქულები იმყოფებოდნენ და მოეცლინა მათ ალივით გაყოფილი ენები, რომლებიც დაეფინა თითოეულ მათგანს. აღივსნენ ყველანი სულიწმიდით და სხვადასხვა ენებზე ამეტყველდნენ იქ მყოფნი პონტოელნი, კაბადუკიელნი, რომაელნი, ეგვიპტელნი, არაბნი და სხვანი. ძლიერ გაკვირდნენ, როცა უბრალო მეთევზენი უცხო ენებზე ალაპარაკდნენ. მოციქულმა პეტრემ მათ გაახსენა იოველ წინასწარმეტყველის მიერ თქმული: „და იყო უკანასკნელთა დღეთა, — იტყვის უფალო ღმერთო — მივფინო სულისაგან ჩემისა ყოველთა ხორციელსა და წინასწარმეტყველებდნენ ძენი თქუენნი და ასულნი თქუენნი და ჭაბუკნი თქუენნი ხილვასა იხილვიდენ და მოხუცებულთა თქუენთა ჩუენებით განვეცხადო, და მონათა ჩემთა ზედა მათ დღეთა შინა მოვჰფინო სულისაგან ჩემისა და წინასწარმეტყველებდნენ“.

იმ დღეს ათასობით კაცმა იწამა ქრისტეს რჯული.

25(7.06) — წმიდა იოანე ნათლისმცემლის თავის მესამედ პოვნა

როცა წმიდა იოანე ოქროპირი გადაასახლეს, კონსტანტინეპოლში შფოთი ატყდა. ამასთან დაკავშირებით წმიდა იოანე ნათლისმეცმლის პატიოსანი თავი ემესაში გადააბრძანეს. აქედან კი სარკინოსთა თავდასხმის დროს (810-820) სიწმიდე დასავლეთ საქართველოში — კომანში გადაიტანეს. ხატთაყვანისცემის აღდგენის შემდეგ პატრიარქ ეგნატეს (847-857) უფლისაგან ეუწყა წმიდა იოანე წინასწარმორბედის პატიოსანი თავის ადგილსამყოფელი. მწყემსმთავარმა ამის შესახებ იმპერატორს აუწყა. მან კომანში გაგზავნა ელჩები, რომელთაც პატრიარქის მიერ მითითებულ ადგილას დახვდათ სიწმიდე. ეს მოხდა 850 წელს. მოგვიანებით ნათლისმცემლის თავი კვლავ კონსტანტინოპოლში გადაასვენეს და საიმპერატორო სასახლის კარის ეკლესიაში დააბრძანეს.

1 ივნისი — წმინდა ნინო, მოციქულთასწორი, ქართველთა განმანათლებელი (IV საუკუნე)

კაბადოკიელი ქალწული წმ. ნინო, დიდმოწამე გიორგის ახლო ნათესავად ეკუთვნოდა. როდესაც ნინოს თორმეტი წელი შეუსრულდა, მისი მშობლები ზაბულონი და სოსანა წმიდა ქალაქში, იერუსალიმში გადასახლდნენ. აქ ნინოს მამა ოჯახს გამოემშვიდობა და ბერად აღიკვეცა. ქრისტეს წასვლის შემდეგ, სოსანა იერუსალიმის პატრიარქმა იუბენალმა დიაკონისად აკურთხა, ნინო კი აღსაზრდელად მისცა ქრისტიან ქალს სარა ნიაფორს. აღზრდელი ქრისტიანულად ზრდიდა ნინოს. სარასაგან გაიგო ნინომ ისიც, თუ როგორ მოხვდა ქრისტეს წმ. კვართი საქართველოში.

ამ დღიდან ნინო გულმხურვალედ ევედრებოდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, რომ საქართველოს ნახვისა და იმ პერანგის თაყვანისცემის ღირსი გაეხადა, რომელიც თვითონ ღვთისმშობელმა მოუქსოვა საყვარელ შვილს. ყოვლადწმიდა ქალწულმა შეისმინა მისი ვედრება, სიზმარში გამოეცხადა და უთხრა: „წადი ჩემს წილხვედრ საქართველოში, იქადაგე იქ სახარება, უფლისა იესო ქრისტესი, მოიპოვებ მისგან მადლს და მე ვიქნები შენი მფარველი“. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა ვაზის ჯვარი მისცა ნინოს და უთხრა: „მიიღე ჯვარი ესე ფარად და მფარველად ხილულთა და უხილავთა მტერთა ზედა“. საქართველოში გამომგზავრებულ ნინოს უამრავი დაბრკოლება ხვდებოდა. გაჭირვებით მიაღწია ქალაქ მცხეთას. მისი ლოცვითა და ღვთის შეწევნით შეიმუსრა კერპები.

წმ. მოციქულთასწორი ნინოს ღვაწლით, საქართველოში განმტკიცდა ქრისტიანობა.

წმინდანის სურვილისამებრ, მისი პატიოსანი გვამი ბოდბეში დაფლეს. შემდგომ, მის საფლავზე, მირიან მეფემ, წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი ააგო.

გთხოვთ, გაუფრთხილდეთ გაზეთს მასში დაბეჭდილი ტექსტის და ფოტომასალის გამო.

8(21) ივნისი — წმინდა მოწამე თევდორე მღვდელი (კველთელი) — 1609

წმ. მოწამე თევდორე მღვდელი (კვეთელი) XVII საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ირანი და ოსმალეთი ქ. ბაღდადის გამო, ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყვნენ გადაკიდებულნი. 1609 წლის დასაწყისში ოსმალეთმა იძალა სპარსეთზე, წაართვა ბაღდადი, მიიტაცა სამცხე-საათაბაგო და იმავე წელს ახალციხიდან შემოესია საქართველოს.

ამ დროს საქართველოში მეფობდა ახალგაზრდა მეფე წმ. ლუარსაბ II (ხს. 21 ივნისს). ოსმალებმა, რომელთაც მეფის სამეფოფელი იცოდნენ, გადაწყვიტეს უმოკლესი გზით შეჭრილიყვნენ შიდა ქართლში და ცხირეთის ციხეს თავს დასხმოდნენ, შეეპყროთ ლუარსაბი და ამ გზით მთელი საქართველო დაემორჩილებინათ.

თათრებმა მანგლისის ახლოს, სოფელ „კველთას შეიპყრეს მღვდელი ერთი, სახელად თევდორე, პატიოსანი და მოშიში ღვთისა და ერთგული მეფისა თავისისა“. მღვდელი თურმე ეკლესიას კეტავდა, ტყეში გაქცევა ვერ მოასწრო, რადგანაც ეკლესიის განძეულობა გადაემალა. მამა თევდორეს ოსმალებმა მეგზურობის გაწევა შესთავაზეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას წამებით სიკვდილი ელოდა. „ხოლო მან ნეტარმან ხუცესმა, აღირჩია სიკვდილი, ვიდრე განცემა მეფისა და გაწირვა საქართველოისა“. მღვდელმა ლაშქარი გზას აცდინა და ცხირეთს დააშორა. დასავლეთით მიმავალი ოსმალთა ჯარი ფიქრობდა, სადაცაა ჩრდილოეთით გადავუხვევთ და მეფეს იდუმალ დავადგებით თავსო. როცა გზა გაძნელდა და „კაცნი შთაცვინეს კლდეთა და კაპანთა მოსწყდეს“, ოსმალები მიხვდნენ, რომ მოტყუვდნენ. „იხილნეს რა თავნი თჳსნი ესე მოცთუმილნი და შეიწროებულნი, კაცთა მათ სახელოვანთა შეიპყრეს ხუცესი და თავი წარკვეთეს“.

წმ. თევდორეს თავდადებამ ნაყოფი გამოიღო. წმ. მეფე ლუარსაბმა ციხეში გამაგრება მოასწრო, შემდეგ კი ქართველის ლაშქარმა მოთარეშეებს მუსრი გაავლო.

ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

1 — ნინოობა (წმ. ნინოს შემოსვლა საქართველოში)

2 — ხს. ღირსთა ზაბულონისა და სოსანასი — წმ. ნინოს მშობელთა.

5 — ბრმის კვირა — აღდგომიდან VI კვირა.

6 — ხს. ღირსი სვიმეონ მესვეტისა (596)

7 — წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის მესამედ პოვნა (დაახლოებით 850).

9 — ამაღლება.

12 — აღდგომიდან VII კვირა. I მსოფლიო კრების წმიდა მამათა კვირა (325).

16 — ღირსი დავით გარეჯელისა.

19 — სულთმოფენობა.

21— ხს. მოწ. თევდორე მღვდლისა. დიდმოწამე თეოდორე სტრატილატისა.

22 — ღირ. იოანე შავთელ-გაენათელისა (XIII ს.).

26 — ყოველთა წმიდათა კვირა (1 კვირა სულიწმიდის გარდამოსვლიდან).

27 — წინასწარმეტყველი ელისესი.

30 — მოწამისა შალვა ახალციხელისა (1227).

ᲛᲯᲔᲠᲐ „ᲦᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ“ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲐᲚᲬᲔᲕᲡ

გასული წლის ოქტომბერში წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიაში მეუფე იეგუდიელის ლოცვა-კურთხევითა და სურვილით შეიქმნა ხალხური საკრავებისა და დასარტყამი ინსტრუმენტების შემსწავლელი წრე, ხელმძღვანელი წმ. ელია წინასწარმეტყველის სახელობის მამათა მონასტრის მორჩილი კონსტანტინე ქავთარაძე. გიმნაზიის მე-6 კლასის მოსწავლე თამუნა ქუშაშვილი შეხვდა ბატონ კონსტანტინეს და გაესაუბრა ანსამბლ „ღელოვანის“ მუშაობაზე.

— ბატონო კონსტანტინე, რამდენიმე თვეა, რაც სტეფანწმინდის წმიდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიაში თქვენი ხელმძღვანელობით მოქმედება დაიწყო ანსამბლმა „ღელოვანმა“, რას გვეტყვით ანსამბლის შესახებ?

— სანამ ანსამბლი ჩამოყალიბდებოდა, ბავშვებმა დაიწყეს მომზადება ინსტრუმენტის ათვისებასა და სიმღერაში. მალევე გამოვლინდა რამდენიმე ბავშვი, ვინც შეძლებდა ადვილად აეთვისებინა სხვადასხვა ჟანრის სიმღერა. ზოგადად „ანსამბლი“ საპასუხმგებლო საკითხია და სჭირდება დიდი ძალისხმევა, რომ ამ ასაკში (სკოლის ასაკი) ბავშვებმა გაამართლონ სიტყვა „ანსამბლის“ სახელი. ისინი დაუზარლად შრომობენ და სურთ გააზარონ მეუფე იეგუდიელი, ასახელონ ხევი და გიმნაზია. ჯერჯერობით მათ ჰქვიათ სახელად ანსამბლი, მაგრამ მათ კიდევ ბევრი შრომა მოუწევთ იმისათვის, რომ რეალურად ჩამოყალიბდეს გუნდი, რომელსაც ერქმევა სახელი და გაამართლებენ, როგორც ანსამბლის სახელწოდებას, ასევე იმ სიმღერებს, რომლებსაც ისინი შეასრულებენ.

— მომავალისთვის თუ გაქვთ გათვალისწინებული მოხეური სიმღერების შესრულება და პოპულარიზაცია?

— დიახ, ჩვენ ვაპირებთ მოხეური სიმღერების მოძიებას, შესწავლას და შემდეგ შესრულებას.

— გუნდის სახელია „ღელოვანი“, რას ნიშნავს ეს სიტყვა?

— სიტყვა ღელოვანი ნიშნავს ხევს.

— თუ შეიძლება გვითხარით თქვენი სამომავლო გეგმების შესახებ.

— სამომავლო გეგმები ჯერ არ დაგვისახავს, გამომდინარე ბავშვების დატვირთული რეჟიმიდან. მათ აქვთ გამოცდები, გადატვირთული რეჟიმის გამო ამჟამად მეცადინეობას ვერ ვახერხებთ. სამომავლო გეგმები ბავშვების სურვილიდან იქნება გამომდინარე. მათი მონდომება, ერთად ყოფნის სურვილი და ერთობლივი შრომა განაპირობებს ანსამბლის მომავალს და მის წარმატებას. მათ იციან, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია და მცდელობა ერთმანეთის გახარებისა, ზოგადად მუსიკის შესწავლის და იმის გააზრებისა, თუ რამდენად მზად არიან იმისათვის, რომ მუსიკამ მათ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს. მჯერა „ღელოვანი“ წარმატებას მიაღწევს. ამისათვის მათ მოუწევთ ბევრ რამეზე უარის თქმა და მოთმინება.

გავესაუბრე გუნდის წევრებს. ისინი მზად არიან სიძნელეების გადასალახავად, რადგანაც მუსიკა მნიშვნელოვანია მათთვის.

ესაუბრა გიმნაზიის VI კლასის მოსწავლე
თამუნა ქოშაშვილი

დასრულდა 2015-2016 სასწავლო წელი

დასრულდა 2015-2016 სასწავლო წელი. წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიაში საზეიმო კონცერტი გაიმართა. მე-12 კლასის მოსწავლეებს გამოსამშვიდობებელი სიტყვით მიმართა VII კლასის მოსწავლემ მარიამ სუჯაშვილმა. ამ დღესვე გიმნაზიის მე-4 კლასმა (მასწავლებელი ხათუნა ქავთარაშვილი) კონცერტით დაასრულა სასწავლო წელი. ბოლოს გაიმართა გიმნაზიის ანსამბლ „დელოვანის“ კონცერტი.

მოგესალმებით ხევის მკვიდრთ, აქ დამსწრე საზოგადობას, სასულიერო პირებს, მეუფე იეგუდიელს. დღეს წარმოდგენილი ჩვენი სიმღერები არის სხვადასხვა მუსიკოსების მიერ შექმნილი შედევრები. წინა ჩვენი გამოსვლებისთვის წარმოდგენის წინ გვინდა ბოდიში მოვიხადოთ თუკი ვერ წარმოვაჩინეთ სიმღერები სათანადო დონეზე. ჩვენ გვაქვს ამ სიმღერების ჩვენეული ვერსიები. არ ვთვლით თავს მომღერლებად და არ გვაქვს ამბიციები. უბრალოდ გვინდა ჩვენი შრომით და მონდომებით გაგახაროთ და მოგცეთ იმედი, რაც ჩვენ დღევანდელი სიმღერების ტექსტებში აისახება. სიმღერები ერთობლივად შევარჩიეთ და გვინდა ეს ტკივილი, როგორც ჩვენ, ასევე მთელ საქართველოს აწუხებდეს. დიდი სურვილი გვქონდა გაგვეცილებინა მე-12 კლასი, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის საშუალება არ მოგვეცა. ჩვენმა აქ გამოსვლამ და სიმღერამ გვასწავლა, რომ ერთად ყოფნა რომ არა, ჩვენ ვერ შევძლებდით ბევრ რამის ასეთ მოკლე დროში გაკეთებას და აქამდე ვერ მოვიდოდით. გვაქვს სიმღერა სახელწოდებით — „ძალა ერთობაშია“ და გვინდა ეს სიმღერა მივუძღვნათ მე-12 კლასის მოსწავლეებს და ამით ვუთხრათ, რომ ძალა ერთობაშია. დღეს მოგვეცა საშუალება გავაცილოთ და სასწავლო წლის დასრულება მივულოცოთ მე-4 კლასის მოსწავლეებს, ვუსურვოთ სკოლის წარმატებით დამთავრება და მათაც მივუძღვნათ სიმღერა სახელწოდებით „მოდი, ავაშენოთ“. მადლობას გიხდით მობრძანებისთვის და რაც შეეხება ჩვენს დამოკიდებულებას მაყურებლის მიმართ, მადლიერები ვართ და გვინდა ყველა გავახაროთ, ვინც კი ფიქრობს საქართველოზე და მის მომავალზე. ჩვენ დღეს ბევრი რამე არ გვესმის და ვერ ვხვდებით, მაგრამ დარწმუნებულები ვართ, რომ ერთმანეთზე ზრუნვა და ერთმანეთის გაფრთხილებით შევცვლით არა მარტო ჩვენს თავს, არამედ მთელ კაცობრიობას და კარგია, თუკი ამის ერთ პროცენტს მაინც გავაკეთებთ და ვიქნებით მონაწილე იმისა, რასაც ერთმანეთზე ზრუნვა ჰქვია.

მარიამ სუჯაშვილი VII კლასის მოსწავლე

ეს ჩვენი ოთხი წელი

8 ივნისს წმიდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონში ჩატარდა საზეიმო კონცერტი. IV კლასის მოსწავლეები გადავიდნენ უფროსი ასაკის ჯგუფში (მასწავლებელი ხათუნა ქავთარაშვილი). კონცერტი მისასალმებელი სიტყვით გახსნა საბა გელაშვილმა.

მისალმება

ჩვენი ბავშვობის ამ ოთხმა წელმა სწორედ ამ კედლებში გაიარა. გვიჭირს წარსულთან დაშვიდობება, ერთი კია — ეს წლები დარჩება ჩვენს მოგონებაში როგორც ბავშვობის ზღაპარი — სასულიერო პირებისგან მადლიანი დალოცვა, მასწავლებელის ზრუნვა, აღშფოთებლების თბილი დამოკიდებულება და კომენდანტების დიმილიანი სახეები. ახლა კი შევეცდებით მოგწყვიტოთ მოსაწყენ რეალობას და ჩვენს ბავშვურ სამყაროში გეპატიჟებით. გთხოვთ დაგვითმოთ რამდენიმე წუთი.

საბა გელაშვილი

IV კლასის მოსწავლეებმა ლალი ბურდულმა, ლუკა ჩქარეულმა, ნინო ქუშაშვილმა, საბა გელაშვილმა და ლუკა მალასიძემ მსმენელებს დიდი სიამოვნება მიანიჭეს თავისი სიმღერებით, მხატვრულად წაკითხული ლექსებითა და იუმორისტული სკეტჩებით. IV კლასის გაცილების საღამოზე მსმენელებზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა წმიდა ილია მართლის სახელობის მუსიკალური გუნდის „დელოვანის“ მიერ შესრულებულმა სიმღერებმა. გვიხარია, რომ ამ მოკლე დროში ანსამბლის წევრებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს.

გვერდი მოამზადა გიმნაზიის VI კლასის მოსწავლე
თამუნა ქოშაშვილმა

ყაზბეგში გატარებული ჩემი ორი წელი

2014 წლის ივლისის თვეში ორი კვირით ჩამოვედი დარიალის მთავარანგელოზთა, მიქაელისა და გაბრიელის სახელობის მამათა მონასტერში. დარიალის საძმომ დიდი სიყვარულით მიმიღო. მომეწონა იქ ყოფნა და გადავწყვიტე კიდევ რამდენიმე ხნით დავრჩენილიყავი.

მივხვდი, რომ ხევი შემიყვარდა, აქ ხომ სრულიად განსხვავებული ბუნება და გარემო დამხვდა. მომინდა აქ დარჩენა. მამა იოსების კურთხევით სწავლა დავიწყე წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონში. აქაც გულთბილად მიმიღეს. გიმნაზიის დირექტორმა სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოსმა იეგუდიელმა და არქიმანდრიტმა ნიკოლოზმა თავიდანვე შშობლიური სიყვარული მაგრძნობინეს, რასაც მთელი სიცოცხლე ვერ დავივიწყებ.

მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ძიძებს, მაია ზარიძესა და მარინე წიკლაურს, რომლებიც შშობლიურ სიყვარულს არ გვაკლებდნენ პანსიონის ბავშვებს. მადლობა ნინო თურქიაშვილს, ბიბინო წიკლაურს, ჩვენს კომენდანტებსა და ყველას, ვინც ჩვენზე ზრუნავდა.

გიმნაზიის პედაგოგ-მასწავლებლებს ჩემი დიდი მადლობა. ისინი არა მარტო საგნობრივი პროგრამებით გვავითარებდნენ, არამედ გვიტარებდნენ აღმზრდელობით მუშაობასაც. გვაცნობდნენ ხევის ისტორიასა და ტრადიციებს, რომლებიც დღემდე მნიშვნელოვანია აქ მცხოვრებლებისთვის.

მუდმივი ყურადღებისა და მზრუნველობის გამო ჩვენი გაზეთის საშუალებით კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო არქიმანდრიტ ნიკოლოზს.

მომავალი წლიდან ალბათ ყაზბეგში აღარ ვისწავლი. ვფიქრობ, სწავლას გავაგრძელებ ქუთაისის გენერალ გიორგი კვინტაძის სახელობის კადეტთა ლიცეუმში, მაგრამ მე ყაზბეგი არასოდეს დამავიწყდება და არც შევწყვეტ ხევთან ურთიერთობას. მე აქ შევიძინე ნამდვილი მეგობრები, რომლებსაც, იმედია, არასოდეს დავკარგავ. ყაზბეგი იქცა ჩემს მეორე შშობლიურ კუთხედ.

ომარ ქობალია
გიმნაზიის IX კლასის მოსწავლე

დიალოგი გაზაფხულის მახარობელთან

— გამარჯობა, ია.

— გამარჯობა, მიხარია შენთან ყოფნა.

— ია, ვიცი, რა ძნელია ერთ ადგილას გაუნძრევლად დგომა და ერთი და იგივეს ყურება. გიჭირს?

— მიჭირს, მაგრამ მე ყველას ვატკბობ ჩემი სილამაზითა და სურნელით, ეს მაძლებინებს. ისე ჩემთვის მართლაც ძნელია, რომ არ შემიძლია სიმღერა, გადაადგილება, სადაც მომესურვება, მაგრამ გვერდით კარგი მეგობრები მიდგანან: არყი, წიფელყ, თხილი. ყველა თავს მევლება და თანდათან სიცოცხლის წყურვილი მიჩნდება. აი, თქვენ კი, ბავშვებმა, ბევრი უნდა იმღეროთ, ითამაშოთ, დატკბეთ სიცოცხლით.

— დასანანია, როდესაც შენი სილამაზით ზამთარში არ ალამაზებ არემარეს.

— სამაგიეროდ, ზაფხულში მეორედ ვიბადები. სილამაზითა და სურნელით კვლავ ვიპყრობ არემარეს.

— შენთან საუბარი და ყოფნა ისეთი ლამაზი და სურნელოვანია, როგორც თავად შენ ხარ. მე კიდევ მოვალ შენთან.

ანა კაზალიკაშვილი
გიმნაზიის VI კლ. მოსწავლე

მამა გაბრიელის გამონათქვამები

ღმერთი არ იძლევა დიდ ნიჭს დიდი განსაცდელის გარეშე. ღმერთი ყველას იმ ზომით მოგვივლენს განსაცდელს, რისი ატანაც შეგვიძლია. შესაბამისად გვეძლევა ღვთის მადლიც.

ნათლული რომ წარწყმდეს და ჯოჯოხეთში მოხვდეს, ნათლიასაც მოეკითხება, თუ როგორ და რამდენად იზრუნა მან თავისი ნათლულის სულის გადარჩენისათვის.

ზიარებისთვის პირველად მისული კაცი, მიუხედავად მისი ცოდვების სიმძიმისა, მღვდელმა აუცილებლად უნდა აზიაროს.

ნუ მოგერიდებათ, რომ ყოველთვის და ყველაფერს ჯვარი გარდასახოთ. ჯვარშია მთელი ძალა.

საქართველო სიყვარულმა უნდა გადაარჩინოს. ქართველ ერს მიცემული აქვს სიყვარულის ნიჭი და თუ არ გამოიყენა ეს ძალა, როგორც იონა წინასწარმეტყველი გადაყლაპა ვეშაპმა, ისე მოუვა მასაც. თქვენი ნიჭი რწმენაა, ამრავლეთ იგი და სხვებსაც ეს უთხარით.

რას გვეტყვით მამაო მიცვალებულთა შესახებ

მიცვალებულს გაყვა ქვრივი ქალისა და ობოლი ბავშვების ვალი. მას ამქვეყნად მშობლები და და-ძმა დარჩა, რომელთაც ამ ვალის გადახდა შეუძლიათ, მაგრამ არ იხდიან. როგორ მოვიქცეთ?

შეეცადეთ, რომ ობლების დედა ან ნათესავები გაესაუბრონ გარდაცვლილის ახლობლებს. მათ აუცილებლად უნდა განუმარტოთ, რომ მათი ახლობელი ვალის გამო ამ ქვეყნიდან შენდობამიუცემელი წავიდა და იმ ქვეყნად ვალის სიმძიმე წაიღო. გარდაცვალება გაქრობას არ ნიშნავს, — ეს ადამიანი იმ ქვეყნადაც არსებობს სულის სახით და ეს ტვირთი ამძიმებს. ამ სიმძიმისაგან ახლობლებმა უნდა გაათავისუფლონ, თუკი, რასაკვირველია, მისი სულსითვის ზრუნავენ და საშუალება აქვთ, რომ ვალი გადაიხადონ. თუკი მათ ვალის სრულად გადახდის საშუალება არ აქვთ, ობლებს სხვა სახის დახმარებით შეუძლიათ შეეწიონ.

რა ვუყოთ გარდაცვლილი მშობლისგან დანატოვარ ტანსაცმელს, რომელიც არც ისე ვარგისია, რომ მოწყალების სახით გავცეთ?

ასეთი ტანსაცმელი შეგიძლიათ მიწაში დაფლათ ან შესაფერის ადგილზე დაწვათ. ამით მიცვალებულის ხსოვნას არანაირი ზიანი არ მიადგება.

რა არის საჭირო, ღვთისმსახურმა კვეთის დროს რომ გარდაცვლილი მოიხსენიოს?

წირვაზე კვეთის დროს, საკურთხეველში შეწირული სეფისკვერებიდან ტარიგისა და წმინდანთა სახელზე წმინდა ნაწილების ამოკვეთა ხდება. წმინდანთა ნაწილები ტარიგთან ერთად ფეშხუშზე დაბრძანდება. კვეთის დროს თქვენი ახლობლების მოხსენიებისათვის წირვა-ლოცვაში მონაწილეობაა საჭირო. ეკლესიაში უნდა მიბრძანდეთ საღამოს, როცა ლოცვა აღევლინება. იმ დილით კი, როდესაც წირვა იწყება, უნდა შეიძინოთ სეფისკვერი ცოცხალთა და გარდაცვალებულთა სახელზე, ვისი მოხსენიებაც გსურთ და შეაგზავნოთ საკურთხეველში. თუ რაიმე მიზეზის გამო ტაძარში მისვლას ვერ ახერხებთ, შეგიძლიათ სეფისკვერი საკურთხეველში ახლობელსაც შეაგზავნინოთ. ზოგადად კი თქვენს ზრუნვას დიდი მადლი ექნება მოხსენებულთათვის, თუ ეკლესიურად იცხოვრებთ და წირვა-ლოცვაზე ხშირად მიბრძანდებით.

მინდა პანაშვიდი გადავუხადო ჩემს შორეულ წინაპრებს, რომელთა სახელები არ ვიცი. შეიძლება თუ არა ეს?

შეიძლება, თუ თქვენ იცით, რომ ისინი მართლმადიდებლები იყვნენ.

ჩვენს გარდაცვლილ წინაპრებს, რომელთა სახელებიც არ ვიცით, საქართველოს ეკლესია ისედაც მოიხსენიებს წირვა-ლოცვის დროს ასეთი სიტყვებით: „წინაპართა სანატრელთა პირველგარდაცვალებულთა მამათა და ძმათა ჩვენთა“. ბუნებრივია, აქ თქვენი წინაპრებიც იგულისხმებიან, თუ პანაშვიდს გადაუხდით, მოძღვარიც ასე მოიხსენიებს.

მათთვის შეგიძლიათ ყოველთვის ევედროთ უფალს დილის ლოცვაში. იქ წერია: „მოიხსენე უფალო, სულნი გარდაცვალებულთა მონათა და მხევალთა შენთა, შშობელთა ჩემთა და ყოველთა მონათესავეთა ჩემთა (სახელები) და სასოებით მკვდრეთით აღდგომასა და საუკუნოსა ცხოვრებისა ზედა გარდაცვალებულთა მამათა, ძმათა და დათა“.

გაგრძელება შემდეგ ნომერში.